

**ლადო პაპავა: “ოპოზიციას თუ ჰგონია, რომელიმეს  
პრეზიდენტად აირჩევენ, ასეე არ იქნება – მთავარი  
გმირი, შესაძლოა, სულ სხვა აღმოჩნდეს – ის, ვინც  
დღეს საქართველოში არ იმყოფება!”**

გაზეთი “ვერსია” – 27-29 მარტი, № 36, 2009

პოლიტიკური დაძაბულობა, კომპრომატების ომი და სახალხო მდელვარების მოლოდინი ქვეყანას სულ უფრო ღრმა კრიზისში ითრევს. არსებობს თუ არა გამოსავალი ამ პროცესების შესარბილებლად და რა სცენარით შეიძლება განვითარდეს მოვლენები, აქვს თუ არა ეკონომიკას უახლოეს მომავალში სასიკეთო პერსპექტივები – ამ თემებზე “ვერსია” ეკონომიკის ყოფილ მინისტრს, ყოფილ პარლამენტარს, ექსპერტ ვლადიმერ პაპავას ესაუბრა.

– ომის შემდეგ საქართველომ დახმარების გარდა მიიღო თითქმის გაორმაგებული საგარო ვალიც. არის თუ არა ეს საგანგაშო მდგომარობა?

– საგარო ვალის ზღვრული მოცულობა, რომელიც 2009 წლის ბიუჯეტით არის განსაზღვრული, 4,8 მილიარდ ლარზე მეტია, ეს საკმაოდ დიდი მოცულობაა, თუმცა ყველა ვალი ერთნაირად გამართლებული არ არის. შეგახსენებთ, ევრობლიგაციების ემისიას, რომელიც 2008 წლის გაზაფხულზე აბსოლუტურად გაუგებარი მიზეზებით განხორციელდა. აქ სხვადასხვაგვარი ინტერპრეტაცია არსებობდა: მაშინდელმა პრემიერ-მინისტრმა გურგენიძემ ხან თქვა, რომ ეს თანხები ენერგეტიკული ობიექტების მშენებლობისათვის იყო საჭირო, შემდეგ სხვა თემებიც დასახლდა, ტუმცა დრემდე ცნობილი არ არის, ამ თანხის ბედი. მთავრობას არც თავის დროზე უთქვამს რისთვის აირო ეს ვალი და არც დღეს ამბობს მისი რა ნაწილია დახარჯული, ან თუ დარჩენილია რამე, მას რას უპირებენ. სამწუხაროდ ჩვენს პარტლამენტშიც არ მოიძებნა დეპუტატი, რომ ეს კითხვა დაესვა. მინდა შეგახსენოთ, რომ ეს ვალი 5-წლიანია და 2013 წლის გაზაფხულზე დასაბრუნებელია თავისი 7,5%-ით და გადასახდელი იქნება ბიუჯეტიდან. ვეჭვობ, რომ ეს საქართველოს მთავრობამ შეძლოს, რადგან საკმაოდ დიდი თანხაა ერთბაშად გადასახდელი. მთავრობა

იძულებული იქნება, აიღოს დამატებითი საგარეო ვალი მის დასაფარად. ციყვი რომ ბორბალში მოხვდება, ასეთ საგალო ბორბალშია მოხვედრილი ჩვენი ქვეყანა გურგენიძის წყალობით. რუსეთის ომის შემდეგ აღებული ვალები, შეიძლება ითქვას, რომ ობიექტურია. თან გასათვალისწინებელია ისიც, რომ მსოფლიო ფინანსური კრიზისის გამო დღეს არაერთ ქვეყანას უჭირს, მაგრამ მას არავინ ეხმარება. თუმცა ჩვენ დაგვეხმარნენ რუსეთის აგრესიის გამო. თუ მთლიანად გადავხედავთ საგარეო ვალებს საკმაოდ დიდი წილი მოდის მსოფლიო ბანკის განვითარების სართაშორისო ასოციაციაზე, რაც გრძელვადიან პერიოდსა და საკმაოდ დაბალ საპროცენტო განაკვეთებს გულისხმობს. ვერ ვიტყვი, რომ საგარეო ვალების სტრუქტურა მძიმე სურათს ქმნის, ერთადერთი, ევროობლიგაციების საკითხია გაურკვეველი.

**– თუმცა არ ვიცით რაში იხარჯება ეს თანხები, თვითმფრინავებში თუ გზებში...**

– ეს არ ვიცით ევროობლიგაციებ ან დაკავშირებით, მაგრამ რაც შეეხება ბრიუსელის კონფერენციის შედეგად შემოსულ თანხებს, მასზე დაწესებულია მონიტორინგი. რამდენიმე არასამტავრობო ორგანიზაციამ შექმნა კოალიცია, რომლის ფარგლებსიც ხორციელდება მონიტორინგი, ლაპარაკია, რამდენად მიზნობრივად, დროულად და ეფექტიანად იხარჯება ეს თანხები და სულ მალე ცალკეული მიმართულებებით ამ შედეგების საზოგადოებისთვის გაცნობა დაიწყება. მეც ვარ ამ კოალიციის ერთ-ერთი მონაწილე და სულ მალე ჩემს შეხედულებებსაც გავაცნობ საზოგადოებას.

**– თუმცა ქაძრების შემოჭერის მიუხედავად, მაინც ჩნდება მთავრობასთან პრეტენზიები...**

– ქაძრები კი შემოიჭირეს, მაგრამ ერთ-ერთმა ახლადშექმნილმა სამინისტრომ მაინც შეიძინა რამდენიმე ახლად-ახალი საკმაოდ ძვირადღეირებული ჯიპი. ამ საკითხებს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია სწავლობს ხოლმე და იმედია, ამჯერადაც მიაწვდის საზოგადოებას ინფორმაციას. დონორების მიერ გამოყოფილი თანხების გარდა არსებობს საბიუჯეტო შემოსავლებიც, მისი განკარგვა ხდება პოლიტიკური პროცესის შედეგად, როცა მთავრობა მიიღებს ბიუჯეტის პროექტს, პარლამენტი უმტკიცებს, და ბიუჯეტში ჩნდება სხვადასხვა რესურსები, რომელსაც უწყებები საკუთარი შეხედულებისამებრ განკარგავენ. ამას კონტროლის პალატა უნდა სწავლობდეს, მაგრამ დღეს საქართველოში მგონი უკვე აღარავის ახსოვს, რომ კონტროლის პალატა არსებობს.

– ოპოზიციური პარტიები საკმაოდ ხშირად საუბრობენ იმ უზარმაზარ თანხებზე, რასაც ხელისუფლება თუნდაც ვოიაჟებისას ხარჯავს. არის თუ არა შესაძლებელი, რომ მომავალმა ხელისუფლებამ მაინც გაარკვიოს, რამდენად მიზნობრივად იხარჯებოდა თანხები, თუნდაც იმიტომ, რომ თუნდაც მომავალმა მთავრობამ გაითვალისწინოს, რომ ლაპარაკია ხალხის ფულზე, რომლის ხაჯვაც საკუთარი სურვილისამებრ არ შეიძლება. შევარდნაძის მთავრობის მიერ შეჭმული ფულების ამოღება სხვა მეთოდით მოხდა. არსებობს თუ არა მექანიზმი, რომ ამ ხელისუფლების ფინანსური საქმიანობის სრული სურათი დაიდოს?

– ყველაზე ცუდი ის არის, რომ სააკაშვილი ხელისუფლება რევანშის ტალღაზე მოვიდა, რომ ყველა ვინც წინა ხელისუფლებაში იყო, ცუდია და უნდა დაისაჯოს. გახსოვთ ცნობილი ტელედაპატიმრებები, რომელშიც ხელისუფლებას ხელს ისევ ჩვენი ხალხი უწყობდა. გახსოვთ ის აღფრთოვანება, რომელიც მაშინ ხალხში არსებობდა. ეს ხელისუფლებაც დღეს იქნება თუ ხვალ, შეიცვლება და არ მინდა, რომ ახალი ხელისუფლება კვლავ რევანშისტული განწყობით მოვიდეს. არ მინდა ისეთივე საჯარო დაპატიმრებები და ის სიბინძურებები რაც უკვე იყო. როგორც კი ამ განწყობით იწყება პოლიტიკური პროცესი, შემდეგ გაჩერება შეუძლებელია, შეიძლება ვეღარ დასვა წერტილი იქ, სადაც საჭიროა და მრავალი უდანაშაულო ადამიანი შეიწიროს, როგორც ეს სააკაშვილის ხელისუფლებაში მოსვლისას მოხდა. თუმცა ყველა შემთხვევა, სადაც გადაცდომა მოხდა სასამართლომ უნდა განიხილოს და მან მიიღოს შესაბამისი გადაწყვეტილება. მთავარია კანონი დავიცვათ. არ მინდა ჩვენს ქვეყანაში კიდევ ერთი რევილუცია მოხდეს, იმიტომ რომ შურისძიების მომენტები სწორედ რვილუციის შემდგომი პერიოდისთვის არის დამახასიათებელი, როცა ჯანსაღი პოლიტიკური პროცესები წლობით გადაიწვეს ხოლმე.

– მას შემდეგ, რაც ბოლო დრებში ვნახეთ, არის თუ არა შანსი, რომ პროცესები ჯანსაღ კალაპოტში მოექცეს?

– ვშიშობ, რომ არა. ქვეყანაში პოლიტიკური დუდილის ტემპეტატურა საკმაოდ მაღალია. ძნელად თუ მოიძებნება კაცი, ვინც დამაბრალებს, რომ სააკაშვილის მომხრე ვარ, მაგრამ არც ოპოზიციის მიმართ ვარ ოპტიმისტურად განწყობილი.

– რატომ?

– ერთ ჩემეულ სცენარს გაგაცნობთ. ოპოზიცია ითხოვს სააკაშვილის გადადგომას. სწორია თუ არა ოპოზიცია? მორალურად სწორია, მაგრამ უნდა გვახსოვდეს, რომ ეს გარკვეულწილად, ჩვენი ნომერ პირველი მტრის, კრემლის მოთხოვნაცაა. (სააკაშვილსაც მორალურად გადადგომის განწყობა რომ ჰქონდეს, მისთვისაც და ქვეყნისთვისაც უკეთესი იქნებოდა). წარმოიდგინეთ სააკაშვილი და მისი გუნდი, ეს ის ხალხია ვინც გადადგება? – არ გადადგება. მაშინ რა არის გამოსავალი? ისევ შეიარაღებული დაპირისპირება და სისხლისღვრა? ისიც ვთქვათ, სააკაშვილს თუ ძალიან გაუჭირდა რა სცენარია მოსალოდნელი. წავა დევნილობაში, რაც უკვე გავიარეთ. გამსახურდიასგან განსხვავებით სააკაშვილი აშშ-ში აღმოჩნდება, მის ხელთ იქნება CNN და სხვა საინფორმაციო საშუალებები, მერე საზოგადოება უნდა გაიხლიჩოს ორად. ლეგიტიმურობაც ჰაერში გამოკიდებული რჩება. ვის აწყობს დასუსტებული და გახლეჩილი საქართველო? ისევ კრემლს. ოპოზიციას თუ ჰგონია, რომ რომელიმეს პრეზიდენტად აირჩევენ ასე არ იქნება. და მთავარი გმირი შესაძლოა სულ სხვა აღმოჩნდეს, ის ვინც დღეს საქართველოში არ იმყოფება.

– **სად ვეძებოთ, ვენაში თუ მოსკოვში?**

– ყოველ შემთხვევაში თბილისში არა. ზოგიერთ ოპოზიციური ლიდრის მიმართ ჩემი სიმპათიის მიუხედავად, ქართველი ამომრჩეველი არ არის იმდენად გონიერი, რომ მათგან რომელიმე ამოირჩიოს. რჩეული იქნება სულ სხვა და მერე შესაძლოა ისევ თავში მუშტები გვექონდეს სახლელი.

– **ოპოზიცია ამბობს, რომ ის ასრულებს ხალხის დაკვეთას...**

– ხალხის მოთხოვნა იმ შემთხვევაში დადასტურდება თუ ხალხის ის რაოდენობა გამოჩნდება თბილისის ქუჩებში, რომ დავიჯეროთ რომ ეს ხალხის მოთხოვნაა. დაპირისპირება რაც უკვე იყო, სააკაშვილმა და მისმა გუნდმა „პირწმინდად“ მოიგო – მოიგო საპარლამენტო არჩევნები, რომელიც „გაპრავდა“, რომელიც საპრეზიდენტო არჩევნებთან შედარებით გაცილებით ამაზრზენი და შეურაცხყოფელი იყო, მაგრამ ქართველმა ხალხმა ესეც დაიმსახურა. თუ ხალხის პროტესტი საკმარისი იქნება, შეიძლება რამდენიმე ნაბიჯის გადადგმა. არა ის, რასაც პარლამენტის თავმჯდომარე გვთავაზობს, საარჩევნო კოდქსი დღეს არავის აინტერესებს. შეიძლება მხოლოდ უცხოელ დამკვირვებლებს აღლვებდეს. გაცილებით სერიოზულ ნაბიჯებზეა საუბარი.

შეიძლება მოიძებნოს შუალედური გადაწყვეტილება, რომელიც ქვეყნისთვისაც უკეთესი იქნება. თანაც ისე, რომ მოსკოვმაც არ გაიხაროს. ლაპარაკია სერიოზულ კონსტიტუციურ ცვლილებაზე, რომლის შედეგად

პრეზიდენტის უფლებები მაქსიმალურად შეიზღუდება, და ქვეყნის მართვის მთავარი ფუნქცია გადავა პარლამენტზე, პარლამენტის მიერ არჩეულ პრემიერ-მინისტრზე და ამ ცვლილებების შესაბამისად ჩატარდება საპარლამენტო არჩევნები. პრეზიდენტად რჩება სააკაშვილი, მაგრამ აბსოლუტურად უფუნქციო. რეალურად ქვეყნის მართვა პრემიერსა და პარლამენტზე გადავა. ეს ნიშნავს, რომ სააკაშვილის ამბიციას, იყოს პრეზიდენტი, დაკმაყოფილებულია. მოსკოვის ზრახვები არ ასრულდება, თუმცა სააკაშვილი ქვეყნის რეალურ მმართველობას ჩამოშორდება. ეს არის ის გზა რაც ჩემი აზრით, ყველაზე რეალური გამოსავალია, თუმცა ვეჭვობ, რომ ვინმემ გაიზიაროს.

**– გახსოვთ ალბათ ის კადრები რაც ტლევიაში 7 ნოემბრის შემდეგ გამოჩნდა, დრესაც კომპრომატების ომი დაიწყო, როგორ ფიქრობთ, დანარჩენი სცენარიც ანალოგიური იქნება?**

– იგივე კი არ მეორდება საქმე უფრო წინაა წაწეული. მაშინ ასეთი კადრები 7 ნოემბრის შემდეგ გვაჩვენეს, ახლა წინასწარ, 9 აპრილამდე გვაჩვენებენ. ხელისუფლებამ გამოცდილება მიიღო. არ ვიცი, რამდენად რეალური კადრებია და რამდენად შეესაბამება სინამდვილეს, მაგრამ ფაქტია, რომ ქვეყანაში იარაღი გამოჩნდა. პოლიტიკური და არამარტო პოლიტიკური დუდილი სახეზეა. ეს პერიოდი ნებისმიერი კრიმინალისთვის იძლევა ბრწინვალე შესაძლებლობას და ფაქტია, რომ ქვეყანა გადაჩეხვის პირასაა. ამ გადაჩეხვის გზაზე კი ვერ ვხდავ კონსტრუქციულობას ვერც ხელისუფლების ვერც ოპოზიციის მხრიდან. ყველაზე სწორი იყო რეფერენდუმის ჩატარება, რაც ხალხის სურვილის ლეგიტიმაცია იქნებოდა. სამწუხარო ის არის, რომ ირაკლი ალასანიას ამ წინადადებას არა თუ ხელისუფლება არამედ ოპოზიციაც დაუპირისპირდა.

დრეს ოპოზიციას ჰგონია, რომ ყველაზე მაგარი ის იქნება, ვინც ყველაზე აგრესიულია. თუ ხალხს აგრესიული ხელისუფლება სურს, მაშინ აგრესიულ ძალას დაუჭიროს მხარი. დავიდალე ამდენი აგრესიით, არც სააკაშვილის აგრესიულობა მინდა, არც ახალი პოლიტიკური ძალებისა, რომლებსაც ხელისუფლებაში მოსვლის სურვილი აქვთ. არ შეიძლება ქვეყანა აგრესიულობით აშენო.

**– ეს ყველაფერი ეკონომიკას ანგრევს, რჩება თუ არა შანსი, რომ მექანიზმი რასაც ქვეყნის ეკონომიკა ჰქვია, ხელახლა ჩაირთოს?**

– ეკონომიკას მთავრობა ამუხრუჭებს, იმიტომ რომ თუ კონსტრუქციულ დიალოგზე არ წავიდა და კონსტრუქციული ნაბიჯები არ შეიმუშავა, არაფრი შეიცვლება. როდემდე უნდა იყოს ადამიანი ღირსებაშელახული? ამ პრობლემას კი მთავრობა და ხლისუფლება ქმნის. სწორდ ამიტომ გესაუბრეთ საპარლამენტო რესპუბლიკის გარდამავალ მოდელზე, რომლიც ამ რთულ პერიოდს უფრო იოლად დააძლევინებდა ქვეყანას.

– იმას რომ ქვეყანა უფსკრულისკენ მიექანება ხელისუფლებაც შესანიშნავად ხედავს და ოპოზიციაც, თუმცა ადეკვატური ნაბიჯები არც ერთი მხრიდან არ ჩანს, რომ ვარდნის პროცესი შეჩერდეს. გამოდის რომ ისინი მხოლოდ ძალაუფლებისთვის იბრძვიან?

– პრაქტიკულად ყველა სკამისთვის იბრძვის. ამიტომაც გეუბნებით ყველაზე საღი ნაბიჯი რეფერენდუმის ჩატარება იქნებოდა, მაგრამ რა მოჰყვა ამას, აღასანია ჯერ ამერიკის გამოგზავნილად, შემდეგ კი სააკაშვილთან შეთანხმებულ მოთამაშედ წარმოაჩინეს.

– ამ დაძაბულობის დროს ბენდუქიძისა და ბაქრაძის ერთობლივი ამერიკული ვოიაჟი რას უნდა ნიშნავდეს?

– ღმერთმა სულ ერთად ატაროთ! ბენდუქიძე ჯერაც არ წასულა კანცელარიიდან, ისევ თავის კაბინეტში ზის, შესაძლოა, როგორც ანტიკორუფციული საბჭოს წევრი, ასე რომ არავინ იფიქროს, რომ ის ხელისუფლებას ჩამოშორდა. ბენდუქიძე რომ საქართველოსა და დასავლეთზე არ მუშაობს ეს აშშ-შიც კარგად იციან და ამის შესახებ ამერიკელებისგანაც მომისმენია.

– რამდენად არის შესაძლებელი რომ აშშ უფრო აქტიურად ჩაერთოს საქართველოში მიმდინარე პროცესებში?

– მას დღეს ძალზე ბევრი პრობლემა აქვს ავღანეთში, ერაყში, პაკისტანში. აშშ-ს მიზანია მაქსიმალურად შეუწყოს ხელი ნაბუკოს პროექტს, ამიტომ ამ რეგიონში მაქსიმალურად სჭირდებათ სტაბილურობა. ამიტომ, ვფიქრობ, პოლიტიკური ინსტრუმენტებით ყველანაირად დაეხმარებიან ქვეყანას, რომ სტაბილურობა შეინარჩუნოს. თუმცა რა გამოვა აქედან, არ ვიცი. თუ ნაკლებად გამოავზავნიან ისეთ ადამიანებს, რომლებიც ქართველ ხალხს გააღიზიანებენ, უკეთესი იქნება, მხედველობაში მყავს ბატონი მეთიუ ბრაიზა.

**ღალი ზირაქიშვილი**